№ 155
სამშაბათი, 21 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 155
სამშაბათი, 21 ივლისი, 1898 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲘ:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ილ. აღხაზიშვილისა

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐ�პ.

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ.
ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—14)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. Მ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ს. ი. ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝ. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

Ზ.Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲡᲘᲐᲜᲪ. —დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ს. Გ. ᲙᲐᲠᲐᲨᲔᲢᲘᲐᲜᲪ. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ს. Გ. ᲒᲣᲠᲙᲝ. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

Გ. Მ. ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ს. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ᲢᲘ. Ი. ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝ—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (Წ)

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის კამგეობის შუამდგომლობისამებრ, რომელიც აღძრულ იქმნა 1891 წ. 17 მაისის ბანკის წევრთა ჩვეულებრივის საზოგადო კრების განაჩენისა და საკრედიტო წესდების მე-X ხ. მე 2 და 47 მუხლის თანახმად (ტ. XI, ნაწ. 2 კანონთა კრებ., გამოც. 1893 წ.), ფინანსთა მინისტრმა შესაძლებელად სცნო ამ ბანკის წესდების მე-26, 28, 29 და 53 §§ შეცვლა ამ გვარად:

§ 26. გრძელ-ვადიანი სესხი მიეცემა: 1) მამულის დასაგირავებლად: 66 წ. და 2 თ., 61 წ. და 8 თ., 51 წ. და 9 თ., 48 წ. და 8., 38 წ. და 4 თ., 36 წ. და 4 თ., 31 წ. და 2 თ., 29 წ. და 9 თ., 20 წ. 7 თ., 19 წ. და 11 თ., 17 წ., 16 წ. და 6 თ., 14 წ. და 5 თ., 14 წ. და 1 თ., 12 წ. და 7 თ., 12 წ. და 3 თ., 10 წ. და 9 წ. და 10 თ.

და 2) ქალაქის უძრავ ქონების დასაგირავებლად: 38 წ. და 4 თ., 36 წ. და 4 თ., 31 წ. და 2 თ., 29 წ. და 9 თ, 20 წ. 7 თ., 19 წ. და 11 თ., 17 წ., 16 წ. და 6 თ., 14 წ. 5 თ., 14 წ. და 1 თ., 12 წ. და 7 თ., 12 წ. და 3 თ., 10 წ. და 9 თ. და 9 წ. და 10 თ.

შენიშვნა. სესხი 38 წ. 4 თ., 36 წ. და 4 თ., 31 წ. და 2 თ. და 29 წ. და 9 თ. მიეცემა მხოლოდ ქალაქის ქვითკირის შენობაზედ.

§ 28. გრძელ-ვადიანის სესხის ამდები მოვალეა ყოველ ექვსის თვის შემდეგ გარდახადოს:

სესხზედ, რომელიც აღებულია 61 წ. და 8 თ., 48 წ. და 8 თ., 36 წ. და 4 თ., 29 წ. 9 თ., 19 წ. და 11 თ., 16 წ. და 6 თ., 14 წ. და 1 თ., 12 წ., და 3 თ. და 9 წ. და 10 თ.—$2^1/_2$%; სესხად: 66 წ. და 2 თ., 51 წ. და 9 თ, 38 წ. და 4 თ., 31 წ. და 2 თ., 20 წ. და 7 თ. 17 წ., 14 წ. და 5 თ., 12 წ. და 7 თ. და 10 წ.—$2^1/_4$% და სხვა უცვლელად ამ პირობათა ბოლომდის.

§ 29. სესხის მოსასხმობად კალის ამდები მოვალეა ყოველ ექვსის თვის შემდეგ გარდახადოს:

სესხზედ: 66 წ. და 2 თ. და 61 წ. და 8 თ. აღებულზედ—$^1/_8$%; 51 წ. და 9 თ. და 48 წ. და 8 თ.—$^1/_4$%; 38 წ. და 4 თ. და 36 წ. და 4 თ. —$^1/_2$%; 31 წ. და 2 თ. და 29 წ. 9 თ:—$^3/_4$%; 20 წ. და 7 თ. და 19 წ. და 11 თ.—$1^1/_2$%; 17 წ. და 16 წ. და 6 თ.—2%; 14 წ. და 5 თ. და 14 წ. და 1 თ.—$2^1/_2$%; 12 წ. და 7 თ. და 12 წ. და 3 თ.—3% და 10 წ. და 9 წ. და 10 თ.—4%.

მამულის დაფასებისა და გირავნობის ფურცლების დამზადებისათვის ერთხელ ბით გამოერთმეკა იმდენი, რამდენიც დადგესილია წევრთა საზოგადო კრებისაგან, არა უმეტეს 1% სესხად აღებულ თანხისა.

§ 53. გირავნობის ფურცლთ: 61 წ. და 8 თ., 48 წ. და 8 თ., 36 წ. და 4 თ., 29 წ. და 9 თ. 19 წ. და 11 თ., 16 წ. და 6 თ., 14 წ. და 1 თ., 12 წ. და 3 თ. და 9 წ. და 10 თ.—შემოაქვთ 5%; გირავნობის ფურცლთ, გაცემულთ 66 წ. და 2 თ., 51 წ. და 9 თ., 38 წ. და 4 თ, 31 წ. და 2 თ., 20 წ. და 7 თ., 17 წ. 14 წ. და 5 თ., 12 წ. და 7 თ. და 10 წ. —შემოაქვთ $4^1/_2$%.

გირავნობის ფურცლთა სარგებელი უნდა გარდახდილ იქმნას ნახევარ წლობით—2 ივნვარსა და 1 იანვარს.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წესდების მე-26, 28. 29 და 53 §§-ის ამ გვარად შეცვლის შესახებ ფინანსთა მინისტრმა მოახსენა უმაღრთებელესს სენატს გამოსაქვეყნებლად 23 მაისს, 1898 წ.

ებოძა კორნეტობა—დრაგუნთა მე-45 რაზმის ესტანდარტ-იუნკერს თავად წერეთელს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

⁂ 19 ივლისს, საღამოს, კავკ სიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ ესსენტუკიდგან ტფილისში დაბრუნდა, ხოლო გუშინ, 20 ივლისს, ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზედ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

„ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲘ“...

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

II

დაბალის ტანის, ჯმუხი, შუა ხანს გადაცილებული გლახას ძმა მიხა ეხლა ხალხის თვალში, პირს უკან ფიქრ-წარმოდგენით, მიხრინკედ გადაქცეულიყო. თუმცა ამ სახელ-წოდებას პირში ბევრი ვერ უბედავდა, ეშინოდათ ეწყენინებინათ, მაგრამ ყოველთვის, იმის საგმირო საქმეების გახსენების დროს, თვალ წინ მისი მიხრინკ-კუდიანობა და ფლიდობა, გაიძვერაობა ეხატებოდათ. ან ვინ ძალ-გულოვანი შეჰბედავდა და ეტყოდა, „თვალ ზევით შავი წარბი გაქვსო“. ისეთის გამანიორწყალებელის, შემჭმელის თვალით გადაჰხედავდა მოწინააღმდეგეს ეს ერთი ციდა—ქონდრის-კაცი, რომ ერჩია დედა-მიწა გასქდომოდა და შიგ ჩაეტანა ამ წუთს. სახეც უთხრიბდა, რა შვილიც ბრძანდებოდა მიხრინკე. სახე-თავ-პირზედ სულ შავ-ყვითელი ალმური ასდიოდა, თვალები ბოროტის ცეცხლით ელგზნებოდა, უელვარებდა და შხამ-გესლის ჩამწვეთებელ ნაპერწკლებს ისროდნენ სიარულიც რაღაც ჯოჯოხეთური ჰქონდა. დედამიწაზედ ჯიტი გორგალივით დაგოგმანებდა. ამბობდნენ, რაც დედა-მიწაზედ დაღის, ხუთი იმოდენი მიწას ქვეშ დაძვრებაო, თორემ ამოდენა ვერაგობა უსულ-ღმერთობას რომელი კაცი დაიტევდაო. ჯერ ჩამოთვლითაც-კი კაცის ენა ვერ შეესძლებდა ამის ფარულ ავობა-ცოდვებს. ძმასთან გაყრიდგან მოყოლებული, რომელსაც თითლიბაზობით ათი თუმანი დასცინცლა და ნაცვლად ჩამონგრეული ქვითკირის შენობა მიაგდო, მიხრინკეს ყოველ ნაბიჯის გადადგმა ვისიმე ცრემლის დაღვრა, დაღუპვა იყო. გამართა საქმეს ვაჭრო დუქანი და ამან ხომ უფრო ხელი შეუწყო მიხრინკეს გამოქნა-გამელავებას. რა სამარცხვინო საქმეს არ დაასახელებს კაცის ენა-პირი, რომ ამას თვალი დაეხამხამებინოს და ან ღმერთისა შეშინებოდეს და ან კაცისა შერცხვენოდეს—ყველაფერს იკადრებდა, ყველაფერში ხელს წაურევდა, თუ-კი ამის ოჯახს რაიმე ქონებრივი სარგებლობა მოეცხობოდა. „უპატენტოდ“ არყის მალვით გაყიდვიდგან დაწყებული ყალბ საბუთ-ქაღალდების შედგენამდის ისეთი რა საქმე გამოჩნდებოდა, რომ ამას ხელიდგან არ გამოსვლოდა?!. ოთხ ხუთ ნაირად იცოდა წერა და კაცი ვერ გაარჩევდა, რომ ეს ნაწერები ერთისა და იმავე კაცის ხელს დაუწერიაო. ამ ცოდნას დიდის სიფრთხილით და წინ დახედულობით ჰხმაროობდა.

რა ეს გინდათ, არა რომელსამე საქმეს არ ითაკილებდა მიხრინკე, ოღონდ თავისი უძირო, გაუმაძღარი ჯიბე გაესუქებინა. ყოველივე მსხვერპლი, ამის გაალმასებულ მადის დასაკმაყოფილებელ საკერპოზედ, კეთილ სუნნელოვან მისათვალველი უჩნდა. ჯერ იყო და სინიდისი კუნჭულში ჰყავდა მიჯაჭვულ-მილურსმული და თუ ოდესმე მხდალის კრძალულებით ოდნავ კადნიერება-უკმაყოფილებას მაინც გამოაცხადებდა, ისე მიგიბეჟავ-მიგიმკვდანურებდათ სხვა-და-სხვა კრიმანჭულ საბუთებით, რომ მხილება თავ-ბედს იწყევლიდა, არასოდეს აღარ ჩარეულიყო იმისთანა საქმეში, საიდგანაც სირცხვილეული არა-მკითხეობა მოსდევდა. სოფელშიაც ხომ მიხრინკეს დიდი გავლენა ჰქონდა. სოფლობა იყო და უმიხრინკეოდ საქმეს ვერ დაიჭერდნენ. როგორც ამას უჯობდა, განაჩენსაც ისეთს დაადგენდნენ. თუმცა თითონ სასოფლო მოხელეობას არ ჰკადრულობდა, მაგრამ ყველა მოხელეს ამის წყალობით ეშოვნათ ადგილი და ლუკმა პურს სჭამდნენ. ამიტომ ისინი ამისი ყურმოჭრილი მონა-ყმანი იყვნენ და ამის გულისთვის მზად იყვნენ ჯარასავით დატრიალებულიყვნენ. მიხრინკეს საქმეები ყოველთვის გაჩალხულ გალესილი იყო და აუარებელი საქმეც ჰქონდა მიხრინკეს, ღვთისა წინაშე. ისეთი რა ღღე გავიდოდა, გასანაღდებელი ვექსილი, ან სხვა რამ მამულების თაობაზე გასაკეთებელი ქალალდი არა ჰქონოდა. მოხელეებიც მუქარაზედ უსრულებდნენ. თუმცა თითონაც ამისთანებში ძალზედ გამოცვეთილი იყო, მაგრამ უიმათოდ საქმე უძნელდებოდა, ხალხი წინანდებურის თახთახით აღარ უყურებდა მიხრინკეს, ეს გარემოება მიხრინკეს სასამართლოებში თრევა-ტარებას უმატებდა, მაგრამ ღმერთმა მოხელეები უცოცხლოს და ხელის ასაკვრელი ჭუჭყი მზად იყოს, თორემ იმათის დახმარებით ამის ოჯახს საცხოვრებელი რუკვით შეუვა. მიხრინკეს ეხლა ჯიბე ფულით გატენილი ჰქონდა, ბელელი—სულადით და მარანი—ღვინით.

გარეთ თუ ასეთი ღვთის რისხვა იყო მიხრინკე, არც ნაკლები ნავსი, ავ-ზნე-მკაცრი, მრისხანე სახლში იყო. ამის დაუკითხავად მოჯამაგირეები თითს ვერ გაანძრევდნენ დ», აბა დედა მაშინ აუტირდებოდათ, თუ ფეხი ოდნავ მაინც უკულმა გადაუბრუნდებოდათ. ამის შიშით სულ კანკალებდნენ და მთავარი მცნება დაკარგული ჰქონდათ, რაიმე ღალატის ჩადენას ფიქრადაც არ გაივლებდნენ, არამც თუ საქმით შესძლებოდათ. იმათი ხელ-მრუდობა, თუ გაბედავდნენ, არას გზით არ გამოეპარებოდა. ასე გონია, ჩიტმა მიუტანა ამბავი, მაშინათვე შეიტყობდა ამას და, ღმერთმა გაშოროთ ის, რაც სიმრუდის ჩამდენის თავზედ ცეცხლს დაანთებდა. არც ნაკლებ დუხჭირობაში თავისი ცოლი ფეფენო ჰყავდა ჩავარდნილი. ფეფენო ისე დატანჯული და დაკრუნჩხული იყო მიხრინკეს ხელში, რომ პირდაპირ სიტყვას ვერც კი შეუბედავდა. ამნაირმა ცეცხლში წრთობამ ფეფენოსაც ასწავლა ხრიკები, როგორ, რა გზით მოევლო ქმარისათვის, რომ გაწამებული ცხოვრება შეემსუბუქებინა. ერთად ერთ იარაღად ქმართან საბრძოლველად—სუსტი ფეფენო, ტყუილების გარდა სხვა რა ღონეს მიჰმართავდა და მართლაც ეს მოხერხებული, ეშმაკობით გატენილი კაცი ფეფენოს ტყუილების ანკესზედ მალე ეტან-ებმებოდა. მხოლოდ ამ ტყუილების წყალობით ცოლს შეეძლო ქმრისათვის თვალები აება, კლდეზედ გადაეგდო, გადაეჩეხა, თორემ, ღმერთმა დაიფაროს, მიხრინკეს ვინ გაუძლებდა! იმის ანგარიშსაც-კი მოსთხოვდა ხოლმე ცოლს, დღეს რა ეჭამა, რა დაელია იმის შინ არ ყოფნის დროს, იმაზედ მეტი ხომ არ გადაეჭარბებინა, რაც ქმარმა ნატეხი შაქარი, ჩაი, ან ბოთლით ღვინო მიუთვალა. მიხრინკე, როდესაც სადმე წავიდოდა, სახლში ფულსაც უნარჩუნებდა ცოლს. რასაკვირველია, ეს ფული მაშინვე ფეფენოს საყვარელ ერთად-ერთ შვილ სტეპკოს ჯიბეში ჩაჰქანდებოდა ხოლმე, რომელიც ერთ დღეზედვე

*) იხ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“, № 152.

მეუღლითურთ ტფილისიდგან კოჯორს წავიდა.

⁂ გუშინ, ამ თვის 20-ს, ნაშუადღევის 2 საათსა და 40 წუთზედ, ტფილისში ჩამობრძანდა მისი უმაღლესობა ბუხარის ემირი მირ-სეიდ-მირ-აბდულ-ახად-ხანი. მისს უმაღლესობას დიდმის მინდორზედ მიეგებნენ: ტფილისის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ნ. რეიტერი და პოლიცმეისტერი ლ. პ, მასტიცკი. გენერალმა რეიტერმა მიიწვია ემირი თავისს ეტლში, რომლითაც მისი უმაღლესობა მობრძანდა „ორიანტის“ სასტუმროში. აქ მის უმაღლესობას მიეგებნენ ვიცე გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, პოლიცმეისტრის თანაშემწე გ. ს. კოვალიოვი და სხვ. ცოტა ხანს შემდეგ ემირთან სადარბაზოდ იყო ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი და მთავარ-მართებლის მაგიერ—იმის ბრწყინვალების უფროსი ადიუტანტი.

⁂ ტფილისის გუბერნატორი ბ ნი თ. ა. ბიკოვი გუშინ გორის მაზრიდგან ტფილისს დაბრუნდა.

⁂ საერო განათლების სამინისტრომ, კავკასიის სამოსწავლო ადმინისტრაციის შუამდგომლობისა გამო, ნება დართო შეძენილ იქმნას ტფილისის საოსტატო ინსტიტუტისათვის მიხეილის ქუჩაზედ ზეტცერის სახლი, სადაც ამ ჟამად ინსტიტუტია მოთავსებული. სამინისტრომ უკვე გადასდო 43,000 მან. ამ სახლის შესაძენად.

⁂ კვირას, 19 ივლისს, „ნემენცთა ბალის“ საზაფხულო თეატრში სცენის მოყვარეთ წარმოდგენა გამართეს. ითამაშეს ა. ცაგარლის პიესა „ციმბირელი“. წარმოდგენამ ძალიან ცუდად ჩაიარა. მოთამაშენი სულ არ იყვნენ მომზადებულნი. როლების დასასწავლადაც-კი არ აეტკიათ თავი. საჭიროა სხვა-და-სხვა „სცენის მოყვარენი“ მეტის სიფრთხილით მოეკიდნენ წარმოდგენების გამართვის საქმეს და ან სულ ხელს ნუ მოჰკიდებენ ამ ძნელ საქმეს ან კიდევ, თუ მაინცა და მაინც არ დაიშლიან, ცოტად თუ ბევრად ხეირიანად მოემზადნენ, რომ ხალხს გული არ აუცრუონ და თეატრში სიარული სრულიად არ ამოაკვეთინონ.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ საბაღოსნო სკოლის გამგეობამ გამორიცხა ამ სკოლის 10 მოსწავლე, რომელზედაც ეჭვი შეიტანეს სკოლის შენობას ცეცხლი იმათ წაუკიდესო. ამ საგნის გამოსარკვევად ამას წინად კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრებისაგან კომისია შესდგა. კომისიამ უკვე დაასრულა საქმე. მოხსენების შედგენა კომისიამ საზოგადოების წევრს ბ-ნ ფიგუროვსკის მიანდო. აზრადა აქვთ ეს მოხსენება საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას წარუდგინონ განსახილველად.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა ამ დღეებში სთხოვა გუბერნატორს, საშხედრო საქართველოს გზის სად. ცხვარის-ჭამიაში ბეითალი გაგზავნეთ ამ სადგურის ცხენების გასასინჯათო. ცხენებს იქ ქოთაო გასჩენიათ თურმე.

⁂ ფინანსთა სამინისტრომ წინადადება მისცა სახაზინო პალატებს, რომ მათ დაავალონ ხარჯთ ამკრებ ინსპექტორებს ამ წლის მოსავლის შესახებ დაწვრილებით ცნობების მოკრება. ასეთისავე ცნობების მოკრება უნდა დაავალონ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საყოველთაო მიწერილობის ძალით კავკასიის სახელმწიფო ქონებათა გამგეებმა თავიანთ ხელ ქვეით მოხელეებს.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით, 9 ივლისს თელავში, ქალაქის კლუბის შენობაში კონცერტი გაუმართავთ. კონცერტში მონაწილეობა მიუღიათ: ტფილისიდგან ჩასულთ ქ ნ მიხეევისას, ბ-ნთ კარგარეთელს და ცხომელიძეს და აგრეთვე ადგილობრივ მომღერლებს: ქ ნ შირსკაიას და ბ-ნ შიუკაშვილს. კონცერტი ქართულ-რუსული ყოფილა.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, თიონეთში შემდეგი მკვლელობა მომხდარა: სამს გლეხს ბაჭკურა, თაზია და ივანე არაბულებს, 7 ივლისს, ეკლესიის დღესასწაულის დროს, ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ივანე არაბული დაუჭრიათ. იმავე დღეს ივ. არაბული შინ მისულა და უთხოვია ცოლისათვის ჭრილობა შემიხვიეო. შეხვევის დროს ფანჯრიდგან თოფი გაუსროლიათ და ივ. არაბული იქვე მოუკლავთ. ტყვია შიგ გულში მოჰხვედრია. თოფი თაზია არაბულს გაუსროლია.

⁂ გაზ. „ახ. მიმ“. სიტყვით, გორის მაზრის სოფ. ქვახრელის მცხოვრებელთ შუამდგომლობა აღძრეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ სოფლის მახლობლად, სადგურ გრაკალიდგან ხუთის ვერსის მანძილზედ, რკინის-გზის ბაქანი იქმნას გამართული.

⁂ გაზ. „კავკასს“ მეტეხიდგან სწერენ: „ჩვენს საზოგადოებაზედ ითვლება თითქმის ორის წლის დარჩენილი სახელმწიფო და საერობო გარდასახადი. ამის გამო ყველა გაკვირვებულია, რადგანაც ყოველ გვარ გადასახადს ხარჯის ამკრებნი თავის დროზედ და ხშირად ძალ-დატანებით ჰკრებავენ; შელავათს აძლევენ მხოლოდ შეძლებულ გლეხებს, რომელთაც სოფლის საქმეებზედ დიდი გავლენა აქვთ. უნდა ვიფიქროდ, რომ მოკრებილი ფული სრულად არ შეაქვთ ხაზინაში; წინაალმდეგ შემთხვევაში ძნელი გასაგებია საიდგან გაჩნდა ეს დარჩენილი გადასახადი. საზოგადოების რწმუნებულთ უკვე მიჰმართეს მაზრის უფროსს და სთხოვეს, რომ გამოიკვლიონ ეს საქმე და გაიგონ ხარჯის ამკრებებს სრულად შეაქვთ ფული თუ არა. სასურველია, საზოგადოების თხოვნა მალე იქმნას მიყვანილი სისრულეში, რომ შემდეგ აღარ განმეორდეს ეს უსამართლობა და აგრეთვე იმისთვისაც, რომ გაფლანგული ფული დროზედ დაუბრუნდეს საზოგადოებას. ამ დღეებში ერთი ხარჯის-ამკრებთაგანი მტკვარში დაირჩო. ამბობენ, რომ ამ კაცზედ 230 მანეთი საზოგადოების ფული იყო დარჩენილიო. ეხლა-კი ამ ფულის დაბრუნება შეუძლებელი გახდა, რადგანაც განსვენებულს არაფერი არ დარჩენია“.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, აზრადა აქვთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ფოთის ნაწილში, მე-27 ვერსზედ, სოფ. ქვალოვინის მახლობლად დააარსონ რკინის-გზის სადგური.

⁂ ზაქათალა. 3 ივლისს, კოვახ. ჩელის მამასახლისმა ოსმან-ოღლიმ გაიგო თუ არა, რომ ყაჩაღი მახორამაზან-ოღლი, რომელსაც სხვათა შორის თავ. ჩოლოყაშვილის წისქვილის გაქურდვა და მეწისქვილე მუხრალიძეს მოკვლა ჰბრალდება, ამავე სოფელში იმალებაო, თავი მოუყარა 9 კაცს და შეუდგა ყაჩაღის ძებნას. 4 ივლისს მამასახლისი დარაჯებთან ერთად ჩაესაფრა „მაუტ-ბატანთან“ ყაჩაღებს და შეღამებისას რამაზან-ოღლიმ ვიღაც ამხანაგით ჩამოიარა თურმე ჩასაფრებულებისაკენ. დაიწყეს თოფის სროლა და ერთი დარაჯთაგანი მოკლულ იქმნა, ხოლო თვით რამაზან-ოღლი დაიჭრა მარცხენა ხელში, მაგრამ გაქცევა მაინც მოახერხა. ეს ამბავი შეატყობინეს ბაღლიანის ნაწილის უფროსს, რომელიც მამასახლისთან ერთად დაედევნა ყაჩაღს და მაზიმ-ჩელის ტყეში შეიპყრო რამაზან-ოღლი (ახ. მ.).

⁂ სოფ. ნახუნუ, (სენაკის მაზრა). აგერ სამი წელიწადია მას აქეთ, რაც თავ. ფაღავების მამულში მადანი აღმოაჩინეს, მაგრამ დღემდის არაფერი ისმოდა ამ მადნის წარმოების შესახებ. დღეს, როგორც გავიგეთ, თავ. მ. ფაღავას მეცადინეობით რუსეთის ერთს ამხანაგობას უკისრნია ამ მადნის წარმოება და ხელ-შეკრულებაც უკვე დაუწერიათ. ადგილობრივი მცხოვრებლები დიდის ამბითა და სიხარულით მოელიან იმ დღეს, როდესაც აქ ხელს მიჰყოფენ მუშაობას.

⁂ სოდ. ადსტაფა. ამ ბოლო დროს მეტის-მეტად ჩამოცხა და უბედურება ის არის, რომ კაცი წყალსაც-კი ვერ შოულობს გულის გასაგრილებლად. ერთადერთი ონკანი იყო გამართული ბაზარში, საიდგანაც ვეზიდებოდით წყალს, მაგრამ ეს ონკანიც დაგვიკეტეს და დიდის ხვეწნა-მუდარით უნდა გამოვართვათ ხოლმე თითო-ოროლა ჩაფი წყალი. კარგი იქმნება ითავოს ვინმემ და საკმარისი წყალი გაუჩინოს მცხოვრებლებს. წელს აქეთ ძრიელ კარგი მოსავალი იყო პურისა და სხვა ხორბლეულობისა.

⁂ 18 ივლისს, გრაფის ქუჩაზედ, ილიაზოვის სახლში მცხოვრებმა, ივანე კარსელაძემ გამოუცხადა პოლიცმეისტერს, რომ 15 ივლისს ქუთაისის გუბერნიის გლეხი მეთოდი კარსელაძე, რომელიც ჩემთან მოსამსახურედ იყო, სახლიდგან წავიდა და სადღაც დაიკარგაო.

დუქნებში გაატიალებდა, თოფს, ან რევოლვერს იყიდდა. მოვიდოდა მიხრინკე და პირველ შემთხვევაზედვე ცოლს ამ ფულის ანგარიშს მოსთხოვდა. ცოლი როგორ გაუბედავდა, რომ ეთქვა ფული სტეპკოს მივეცი. ბარემ სახლიდგან აყრილ-აბარგებულიყო. ისევ მხსნელ ტყუილებით უნდა ემართლებინა თავი: „რა უყავ, დავლაზედ ხომ არ წავიღებდი, სახლში ჯერ თასი რამ გვაკლია, სხვაც არა იყოს-რა, ერთი რიგიანი ლეჩაქი, ლეჩაქის არშია არ მებადა—გარეთ გამოვსულიყავ, წავედი და ვიყიდე“. ფეფენო გადმოულაგებდა ქმარს წინად თითონ ქმრისგანვე, ან თავისს ნასყიდ სავაჭროებს და დააჯერებდა, რომ ყოველივე ეს ახლად შეძენილ-ნასყიდი იყო.

ამ რიგად, ავად იყო, თუ კარგად, ყველაფერი უშფოთვლად მიმდინარეობდა, მიხრინკეს ოჯახში დაულეველი შეძლება, საცხოვრებელი შემოსდიოდა, მაგრამ მიხრინკეს გულს სულ სხვა სევდა-წუხილი შეჰპარვოდა და უჩინარ ჭია-მატლსავით ულრნიდა ისედაც სოფლიურ, ქვენა გრძნობებით გატენილს, დატვირთულს არსებას. რაღას ინაღვლიდა, რიგიანი შვილი რომ გამოსვლოდა? ერთად-ერთი შვილი დარჩენოდათ და ესეც უხეირო, უგერგილო, დედამამის შემარცხვენელი, თავის მომჭარელი. ფეფენოს ერთად ერთი ნუგეში, ცხოვრების საგანი ეს შვილი ჰყავდა და ძუძუთაობიდგანვე სტეპკოს ფუფალასავით შეჰყურებდა, უვლიდა, თავს ევლებოდა, ულოლიავებდა და ამასობაში სტეპკოც გაზრდილდა; სტეპკოს პატარაობიდგანვე დღე მუდამ ჯიბე-უბე კაკაბილითა და ფულით ჰქონდა გატენილი ფეფენოს ფარულის ხელის წყალობით. მამამ სამაზრო სასწავლებელში მიაბარა შვილი, მაგრამ ნებივრობა დედის ალერს მიჩვეულს სტეპკოს სკოლაში გული არ უდგებოდა, წიგნები ჭირივით ეჯავრებოდა. აიყვანდა მამა სკოლაში შვილს ცხენით, ეგონა, იქნება ეხლა მაინც ეშმაკს შეაფურთხოს, გული ჩამოსტიოსო, მაგრამ მეორე დღესვე დედ-მამას შინ თავს დაუკრავდა. გულ-ამღვრეული მიხრინკე გაექანებოდა ხოლმე შვილისკენ მისაჩეჩქვად, მაგრამ სხვა დროს მხდალი, სუსტი ფეფენო ამისთანა შემთხვევაში ისე გადაეფაფრებოდა ხოლმე შვილს კრუხსავით, რომ ათ კაცსაც არ შეეძლო ხელიდგან გაეშვებინებინათ. მეორე დღესვე ბიჭებს გაატანდა ხოლმე ცხენით სასწავლებელში, მაგრამ შუა გზაშივე ფეხებს იფშხლეკავდა სტეპკო, გუნებაში „ფუი კაჭკოს“ ძახილით ცხენიდგან გადმოენთებოდ-გადმოხტებოდა და უკანვე სახლში გამოიქცეოდა. ჯერ პირდაპირ სახლში მისვლას ვერ გაჰბედავდა, მეზობლისას დაიმალებოდა, მაგრამ, როდესაც დედა შეიტყობდა ამ ამბავს, უჩუმრა წავიდოდა და სახლში შემოაპარ

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. უწერა, (რაჭის მაზრა). უწერაში ზაფხულობით მრავალი ავადმყოფი სალხი მოდის სამკურნალოდ და, როგორც ამბობენ, ემადლიერებიან კიდეც აქაურობას. სოფ. უწერა მდებარეობს რაჭის მაზრაში, რიონის მარჯვენა მხარეს, დ.ონიდგან 13 კერსზედ. ამ სოფლის უანების თავში ცალკე ერთ სუფთა ადგილზედ დადგმულია 24—25 ფიტრის ერთ-სართულიანი ოთახი, ყავრით დახურული, ზოგი ქადალდ-გაუკრავი, ზოგი ნახევრად ჩამოგლეჯილი, ზოგან ფიტრებსა და ფიცარს შუა ქარი შესისინებს. იატაკებს წამალი წაესმული აქვს და სხ. თითო ოთახი იძლევა ქირით მთელს ზაფხულს სამ და ოთხ თუმნად. ამ ადგილს ჩასტქერის აქეთ-იქიდგან მაღალი ტეიან ნაძვიანი მთები, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდგან-კი თოგლიანი ოლაგირის მთები. ჰაერი მშვენიერი, გრილი და სასიამოვნო აქვს. აქვე მაღლობზე სდგას ერთ-სართულიანი ქვითკირით აშენებული სამ ოთახად გაყოფილი სახლი. ეს ოთახები დაფენილია ადგილობრივის კლდის ქვითა. ამასთანავე ყველა ოთახში გაკეთებულია თითო აუზი საბანოდ. ამ სახლის უკან კლდიდგან გამოდის მყავე წყალი (რკინის წყალი) ძალიან წვრილად, მაგრამ იქვე ფიტრის აუზი აქვს გაკეთებული, იქა გროვდება, იმ აუზიდგან გადის რკინის ქვაბში, იქ ადუღებენ და შემდეგ აუზებში უშვებენ. თითო ბანაობა ამ აუზში ჭღირს 40 კაპ., რაც შეეხება აუზებსა და ოთახებს, იგი დიდად უსუფთოდ არის შენახული. ეს აბანო და ადგილი ეკუთვნის ამაკე სოფლის კლესებს, რომლებმაც სრულიად არ იციან, თუ რანაირად უნდა ისმარონ ეს წყალი.

აქვე არის მეორე აბანო, ისეკე მოწყობილი და იმგვარისაკე წყლით. ეკუთვნის ქუთაისელ კოკორჩაშვილს. თუმცა ეს აბანო სისუფთაკით სჯობია, მაგრამ ხმა არის გავრცელებული, რომ პირველ აბანოს წყალი სჯობიაო, ასე რომ ამ აბანოს უფრო ეტანება სალხი.

ამ ადგილის პირდაპირ რიონის მეორე მხარეს კლდეში გამოდის სასმელი წყალი. ეს წყალი ზელტერის წყალსა ჰგავს. სასმელად სასიამოვნოა, თუმცა ძალიან წვრილად გამოდის. პატარა ქვითკირის აუზი აქვს, იქ აგროვებენ და ისე ასმევენ სალხს. პატარა ქვითკირის ოთახი ადგია იმ აუზს ნახევრად ჭერ-დაუხურავი. იქვე ახლო ფიტრის ფარდული დგას და სალხი იქაც გროვდება და სვამენ ამ წყალს. ეს წყალი ეკუთვნის ივ. გამყრელიძეს, რომელსაც კაცი უყენია და ფულად ჰყიდის. ეს მყავე წყალი მთელი დღე იქ რომ იყოს და სვა, 6 კაპ. ჭღირს, ესეკე ფასი აქვს, თუნდა ერთი ჭიქა დალიო, ბოთლი 3 კაპ., ხოლო თუ დოქით წამოიღეთ—12 კაპ. ხანდახან ფასს ასწევენ ხოლმე, 6 კაპ. მაგიერად 8 კაპ. ართმევენ. თუმცა ყველას ამ წყალის ასე უიდვა კმეირება, მაგრამ რა გაეწყობა, ხმაა გავრცელებული, რომ ეს ორიეე წყალი უკეკლავების წყლებია და უსათოდ ერთში უნდა იბანოს კაცმა და მეორე სვას.

ამ წყლებს საზოგადოდ უფრო დაბალი სალხი ეტანება. საზრდოს შოვნა ამ სოფელში არ არის ძნელი და ძვირი. ქათამი ჭღირს 50 კაპ., კარაა—25 კაპ. ხუთი კვერცხი 5 კაპ., ფეველი, რძე და კარაქიც იაფია. აქ სასტუმრო არის. წელს სალხმა ძალიან გვიან დაიწყო მოსვლა, რადგანაც ამინდი არ უწყობდა ხელს.

ნ. გ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ამ ბოლოს დროს პედაგოგები ძალიან დიდს მნიშვნელობას აძლევენ მოსწავლე ბავშვების მოგზაურობას. ბავშვს მხოლოდ მაშინ შეუძლიან შეითვისოს და შეიგნოს, როდესაც ყველაფერს თავისის თვალით დაინახავს და თავისის ყურით გაიგონებსო, ამბობენ ისინი. ამ აზრით, ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოებში აღმზრდელებსა და მასწავლებლებს ძალიან ხშირად დაჰყავთ მოსწავლე ბავშვები სოფლებსა და ქალაქებში, გამოფენებზედ და სხვა. მაგრამ ბავშვთა მოგზაურობა ისე არსადა ყოფილა გავრცელებული, როგორც დანიაში. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ გაზ. „Пет. Вѣд.“-ის კორესპონდენტი“:

„დანიაში თითქმის ყველა მატარებელს ერთი ან ორი ვაგონი მეტი აქვს მოზმული ბავშვებისათვის. ასეთი ვაგონები ყოველთვის სავსეა პატარა მოგზაურებით, რომელნიც ფანჯრებიდგან მხიარულად გამოიყურებიან და გამვლელ-გამომვლელებს ხელსახოცებს უქნევენ. მოგზაურობის დროს ბავშვების სიხარულს საზღვარი არა აქვს; მღერიან, თამაშობენ და ყოველს სადგურს „ვაშა“-ს ძახილით ეგებებიან. დანიაში ბავშვები უსასყიდლოდ ან მეტად მცირე სასყიდლით დაჰყავთ და ასეთის საშუალების წყალობით შეძლებას აძლევენ მათ თავიანთის თვალით დაინახონ და შეისწავლონ ის, რაც წიგნებში ისე მშრალად და გაუგებრად არის მოთხრობილი.

„მოგზაურობის წინად რომლისამე ადგილის მოსწავლე ბავშვები იკრიბებიან მახლობელ რკინის გზის სადგურზედ. ახალგაზდა მოგზაურებს მხრებზედ გადაკიდებული აქვთ ბაგები, რომელშიაც უწყვიათ სათამაშო ნივთები: ბურთები, ბზრიალები და სხვ. სადგურის გამგეობა მაშინვე ცალკე ვაგონს უთმობს და ბავშვები, მასწავლებლის ან მასწავლებელის კაცის წინამძღოლობით მხიარულად მიემგზავრებიან დანიშნულ ადგილისაკენ.

„დანიაში ბავშვები ხშირად მარტონიც მოგზაურობენ. როდესაც კალიუიბორგიდგან ორგოსში მივდიოდი, გემზედ სამი პატარა ქალი შეეხვდა. უფროსი ამ ბავშვთაგანი ესე 12 წლისა იქმნებოდა, ხოლო უმცროსი—9 წლისა. კალიუიბორგში გამოფენის დასათვალიერებლად წასულიყვნენ და ეხლა შინ მიდიოდნენ. სამთავეს გულზედ ჩამოკიდებული ჰქონდა ხის პატარა ფირფიტა, რომელზედაც ეწერა ბავშვის გვარი და იმ ქალაქისა და სკოლის სახელი, სადაც ბავშვი სწავლობდა. ეს საკმარისი იყო, რომ პატარა ქალებს თავისუფლად და გაუჭირვებლად ემოგზაურათ: გემზედ მათ უსასყიდლოდ უთმობდნენ ადგილს, გამოფენა ისე დაათვალიერეს, რომ გროში არ დაუხარჯავთ, ყველგან ბუფეტებში ნაკლებ ფასად აძლევდნენ საჭმელებს. დილით მისულან ქალაქში, გამოფენა დაუთვალიერებიათ, უთამაშნიათ, შეუსვენიათ და შემდეგ შინ დაბრუნებულან. დანიაში ბავშვებს ყველა ისე მფარველობს, რომ მათ თავისუფლად შეუძლიანთ მთელს სახელმწიფოში იმოგზაურონ. აქ დარწმუნებული არიან, რომ ბავშვი, რაც უფრო მეტს ჰნახავს, გაიგონებს, იმოძრავებს, მით უფრო განვითარდება და, მაშასადამე, სახელმწიფოსთვის მით უფრო სასარგებლო კაცი დადგება“,

რუსეთი

—

უმართებელ ესმა სენატმა განმარტა, რომ არც ერთ ქალაქის საბჭოს არა აქვს უფლება ხმოსანთა საერთო კრებაზედ ლაპარაკი აღძრას ქალაქის მოურავის უკანონო მოქმედების შესახებ სამსახურის აღსრულების დროს. ეს უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ გუბერნიის უმაღლეს მთავრობასაო. ხმოსანთ, როდესაც შეჰნიშნავენ, რომ ქალაქის მოურავი არ იქცევა კანონისამებრ, შეუძლიანთ განსაკუთრებული მოხსენება შეადგინონ, რომელიც საბჭოს ჟურნალთან ერთად აღგილობრივ უმაღლეს მთავრობას უნდა წარედგინოს განსახილველად და მოხსენებათა განხილვის დროს გუბერნატორს შეუძლიან შესაფერი ღონის ძიება იღონოსო.

— მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ტყის მოვლა მოშენების ცოდნის გასავრცელებლად განზრახვა აქვს საერო სასწავლებლებთან ტყის სანერგეები დაარსოს.

— სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ რომ საეკკლესიო სანთლის დამზადების უფლება მხოლოდ იმ ქარხნებს მიეცეთ, რომელნიც დღემდის საეკკლესიო სანთლს ამზადებენ სასულიერო მთავრობის ზედამხედველობით.

— განზრახვა აქვთ ყოველ სასულიერო სასწავლებელთან დააარსონ განსაკუთრებული წიგნთ-საცავები, საიდგანაც წიგნებით სარგებლობა შეეძლებათ სოფლის მღვდელთ.

უცხოეთი

—

ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი. როგორც დეპეშამ გვაცნობა, ამერიკელებმა პორტო-რიკოში რამდენიმე ქალაქი აიღეს კიდეც. შეერთებულმა შტატებმა პორტო-რიკოში სულ 30,000 ჯარის კაცი გადასვა. პირველად, თვით ჯარის უფროსი გენერალი მაიღსი გადავიდა 3,500 ჯარის-კაცით. ესპანიას ამ კუნძულზედ მეტად მცირე ჯარი ჰყავს, ასე რომ იმის სრულიად დაპურობა ამერიკელებს არ გაუჭირდებათ. ამბობენ, რომ პორტო-რიკოში მყოფი ჯარი შებმას კერძი გაუბედავს ამერიკელებს და უბრძოლველად დაემორჩილებაო.

— გაზ. „Berl. Tageblatt“-ის სიტყვით, კუბის გენერალ-გუბერნატორმა მარშალმა ბლანკომ ახალი პროკლამაცია გამოსცა, რომელშიაც ატყობენს, რომ, მართალია, ამერიკელებმა სანტ-იაგო დაიპურეს, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ დამარცხებული არა ვართო. ეს ადგილი დიდ დახმარებას ვერ აღმოუჩენს ამერიკელებს. იგი მოწყვეტილია კუბის სხვა ადგილებისაგან დიდის მდინარებისა და მთებით, ასე რომ ამერიკის ჯარს სანტ-იაგოდგან სხვა ადგილებში გადასვლა ძალიან გაუჭირდებათო. მეორეს მხრით ჩვენი ჯარი ჯერ არ დაძაბუნებულა, იგი გულით არის მოწადინებული ამერიკელებთან შებმას. მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ომი განვაგრძეთ, ჩვენი ჯარი გაიმარჯვებსო.

— გაზეთების სიტყვით, ჰავანის მახლობლად დაბანაკებულ მეამბოხეთ რკინის გზის ერთი მატარებელი აუფეთქებიათ. დაჭრილთა და დახოტილთა რიცხვი აუარებელია თურმე.

— ადმირალი დეკეი დეპეშით ატყობინებს შეერთებულის შტატების მთავრობას: „ფილიპეს კუნძულების მეამბოხეთა წინამძღოლი აგვინალდო კაპიტენი დგან წავიდა და ბაგოროში დაბანაკდა. აგვინალდომ შეკვე შეადგინა კაბინეტი, რომლის მინისტრ პრეზიდენტიც თვითონ არის. სამხედრო მინისტრად აარჩია თვისი ძმის-წული ბალდომარ აგვინალდო, შინაგან საქმეთა მინისტრად—ლეანდრო იბაირა და გარეშე საქმეთა მინისტრად—მარიანნო ირიასი. მეამბოხეთ ესპანელები ქალაქს გარეთ არსებულ უკანასკნელ სიმაგრეებიდგან განდევნეს და თვით ქალაქს ეოველის მხრიდგან ალყა შემოარტყეს. მანილაში მეოფმა ესპანელებმა მხოლოდ ესლა გაიგეს სერგერის ესკადრის ამოწყვეტა. ამ ამბავმა ჯარი მეტად დააღონა და დააფიქრა“.

— ამ სამის თუ ოთხის დღის წინად ესპანიის ტახტის მაძიებელი დონ-კარლოსი ბრიუსელიდგან წავიდა. იმისმა მომხრეებმა ხმა გავრცელეს, რომ დონ-კარლოსი შვეიცარიაში წავიდა სამოგზაურითოო, მაგრამ გაზეთებს ეს ამბავი არა სჯერათ. გაზ. „Reforma“ სწერს, რომ დონ-კარლოსი ესპანიის საზღვრისაკენ წავიდა, შვეიცარიაზედ მხოლოდ გზად გაიკლისო. ასეთის ხერხით დონ-კარლოსს უნდა მადრიდის მთავრობას თვალები აუხვიოსო. სწორედ იმ დღეს, რა დღესაც დონ-კარლოსი ბრიუსელიდგან შვეიცარიისაკენ გაემართა, კარლისტთა დასის მეთაური მარკიზი ტერალბო მადრიდიდგან სადღაც წავიდა. ამბობენ, რომ დონ-კარლოსმა და იმის მომხრეებმა გადასწყვეტეს საქმეს შეუდგნენ.

—

საფრანგეთი. დღემდის საფრანგეთში დანამდვილებით ვერ შეუტყვიათ სად წავიდა ზოლა და სად იმყოფება ამ ყამად. ზოგიერთის გაზეთების სიტყვით ზოლა ლონდონშია, ზოგი ამტკიცებს, რომ რომანისტი სპაშია, ზოგი კიდეკ—ნორვეგიაშიაო. ხოლო გაზ. „Petit Journal“-ის ერთი თანამშრომელი დაბეჯითებით ამბობს, რომ ზოლა საფრანგეთიდგან არსადაც არ წასულაო: ამ ყამად ზოლა პარიყის მახლობლად ქნ როზენის სახლში იმყოფებაო. თანამშრომელის სიტყვით, ზოლა იმ დღესვე, რა დღესაც ვერსალის სასამართლომ განაჩენი დადგინა, მატარებელში ჩამჯდარა და მიუფრთხ სადგურისაკენ წასულა. იქ ცნობილი მწერალი პოლ ალექსისი დაჭხვედრია და იმასთან ერთად ქ-ნ როზენს სწვევია. მეორე დღეს ქ-ნი ზოლაც იქ მისულა. სსენებული გაზეთის თანამშრომელი ამბობს, რომ ზოლა ბაღში დაეინახე მეზობელ სახლიდგანაო. გაზეთის სიტყვით, ამ ამბის გამოქვეყნების შემდეგ ზოლა უთოოდ სხვაგან სადმე წავიდაო.

— გაზეთი „Siecle“ სწერს: „ესტერგაზის მფარველი, იმის გამანთავისუფლებელი და გამომსსნელი პოლკოვნიკი პატი-დიუ-კლამია, რომელმაც პირველად დრეიფუსის საქმე გამოიძია. ამ ოფიცერმა ესტერგაზი გაამართლა და დრეიფუსი ძალად დამნაშავე გაჭხადა. პატი-დიუ კლამი იყო იმ ოკეკლგვარის ხრიკების მოამგონი, რომლის შემწეობითაც სტდილობდნენ ჭეშმარიტების დაფარვას და ესტერგაზის დანაშაულობის არ გამოამჟღავნებას. პატი-დიუ-კლამმაკე მოიპარა სამხედრო სამინისტროდგან საიდუმლო ბარათები და ესტერგაზის გადასცა. ეკელა ეს იცოდა მელინის სამინისტრომ, იცის ესლა ბრისონის სამინისტრომ, მაგრამ საიდუმლოდ ინახავდნენ და დღესაც ინახავენ. ვნახოთ ამის შემდეგ რადას იზამენ“. ამასვე ამტკიცებს გაზ. „Matin“.

— გაზ. „Indep. Belge“-ს ... ეგეთ, ბრისონის სამინისტროში უთანხმოება ჭსუფევს. ბრისონს ჭსურს, რომ გამომძიებელს ბერტილიუს, რომელმაც ამ ბოლოს დროს ესტერგაზის საქმე გამოამჟღავნა, სრული თავისუფლება მიანიჭოს და ნება მისცეს გამოძიება განაგრძოს, ხოლო კავენიაკი თხოულობს, რომ ბერტილიუსი თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნასო.

—

სამხრეთი ამერიკა. ჯერ ესპანიასა და შეერთებულის შტატების ომი არ დასრულებულა და ლამის ამერიკაში ახალი ომი ატუდეს. გაზეთების სიტყვით, სამხრეთ ამერიკის ორ მტერ სახელმწიფოს, არგენტინის და ჩილის რესპუბლიკელებს შორის ამ ახლო მომავალში ომი აუცილებელი იქმნება. ამ უამად ეს სახელმწიფონი გაცხარებულ მზადებაში არიან: იბარებენ ევროპიდგან თოფებს, ზარბაზნებს, ჯარს საზღვარზედ ჭგზავნიან, ამზადებენ სურსათსა და სხვ. მიზეზი ამ ორ სახელმწიფოს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებისა საზღვარზედ მდებარე მცირე ადგილი ეოფილა, რომელსაც ორივე რესპუბლიკა იჩემებს. კარგა ხანია ამ მიწის გამო არგენტინისა და ჩილის რესპუბლიკებს შორის დავა ატეხილი. მორიგებით უნდოდათ საქმე გაეთავებინათ, მაგრამ დღემდის ვერაფერი გაეწყვეს. ორივე რესპუბლიკას თანასწორი ჯარი და ფლოტი ჭყავს; ასე რომ ესლა ძნელი სათქმელი, რომელი გაიმარჯვებს და რომელი დამარცხდება.

დამაკვირდი

სულო შენი ადმავალი ჭარის მტვალთა ვერ დაუენეს.

იოანე ბერი

* * *

ბრძენთან ერთი სიტყვა კმა არს.

კ—ზი ნიკოლოზ (1687 წ.)

* * *

ეკვირობ, რად მომცა ღმერთმან გონება, ნება, თუ რომ სიკეკდილით სრულ დასრულდება! ჩვენი იმედი და ჩვენი ბედი ასე სიზმარებრ თუმცა განქრება, სიცოცხლის სიმი უცრად სწყდება.. კაცი ამისთვის რად იბადება?

გიორგი ერისთავი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ხშირად ამბობენ, რომ პირუტყვს მოსაზრება არა აქვსო, წინ და წინვე საქმის გაბვრეტა, მოქმედების გათვალისწინება არ შეუძლიანო; პირუტყვი რასაც აკეთებს ინსტიქტით, ალღოთი აკეთებსო. ამ აზრის მომხრე ბევრი მეცნიერიც-კი არის; მაგრამ უმეტესობა იმას ამტკიცებს, რომ პირუტყვს ადამიანივით შეუძლიან წინდაწინვე მოფიქრება და მოსაზრება, ხოლო, რასაკვირველია, არა ისე ძლიერ და ნათლად, როგორც ამ უკანასკნელსაო. ამ აზრის დასასაბუთებლად ერთი მკურნალი, სახელად ბორდე შემდეგ ამბავს მოგვითხრობს. მკურნალი ბორდე საშინელი მოყვარული ყოფილა ერთგვარის წვრილის თევზისა, რომელსაც თითქმის ყოველდღე ყიდულობდა თურმე სადილისათვის. მაგრამ, საუბედუროდ, მკურნალზედ არა ნაკლებ ამ თევზის მოყვარული ყოფილა იმისი კატა სახელად „მინე“. მზარეულ ქალს მოსვენება არა ჰქონდა თურმე ამ კატ-საგან. სადაც უნდა მიემალა თევზი, რა ადგილასაც უნდა მიეკუჭნა იგი, კატა მაინც იპოვნიდა და ორიოდეს ასკინცლიდა ხოლმე. თავ-მობეზრებულ მზარეულ ქალს ბევრი უფიქრია და ბოლოს შემდეგი ხერხი მოუგონია. თევზები ბაწარზედ აუსხავს და ბაწრის წვერი ჭერზედ მიუბავს. კატას დაუნახავს თუ არა საყვარელი საჭმელი, მაშინვე მადა მოსვლია და აქეთ-

იქით დაუწყვია სირბილი, მაგრამ თევზს ვერსაიდგან ვერ მისდგომია და ვერ ჩამოუღია. მზარეული სიხარულით ცას მოსწვენია, ეხლა-კი ვეღარაფერს დამაკლებს კატა და ვეღარ წამართმევს თევზსაო, უფიქრია. ბოლოს, საწყალ ციცუნიას რომ ვეღარაფერი გაუწყვია, ერთს ადგილას წამოსკუპებულა და გულდასმით თვალიერება დაუწყია თევზისა და იმ ბაწრისა, რომელზედაც თევზი ყოფილა ჩამოკიდებული. იმ ადგილას, სადაც ბაწარი ყოფილა მობმული, ჭერს პატარა ასახდელი ჰქონია. არ გასულა ბევრი ხანი, რომ კატა უცბად წამომხტარა, თითქოს რაღაცა მოაგონდაო, გარეთ გავარდნილა, ჭერში ასულა და ჩუმად პატარა ასახდელი აუწევია. ზევიდგან დაუხედნია ჩამოკიდებულ თევზებისათვის. ცოტა-ხანს დაფიქრებულა, შემდეგ უსკუპნია და ჩამომხტარა. ჩამოხტომის დროს ბრჭყალები ჩაუკრავს ერთის თევზისთვის, თან ჩამოუტანია და, რასაკვირველია, იმ წამსვე საუზმეს შესდგომია. ამ სურათმა ისე გააშტერა თურმე მზარეული ქალი, რომ ხახა დაღებული შეჰყურებდა კატის ხრიკს, ხოლო მკურნალი ბარდე ისე აღტაცებაში მოუყვანია კატის ჭკუასა და მოხერხებას, რომ თევზები აღარ ჩამოუღებინებია და კატისთვის სრული ნება მიუცია. ამ უკანასკნელსაც დრო აღარ დაუკარგავს, ცხრა თევზი კიდევ ჩამოუგლეჯნია და ლაზათიანათ გამომძღარა.

* * *

მოგეხსენებათ, რომ ამ ბოლოს დროს ევროპისა და ამერიკის ქალები ძალიან კრიჭაში ჩაუდგნენ მამა-კაცებს და სცდილობენ ყველაფერში გაუთანასწორდნენ მათ. ამერიკაში ისეთი ხელობა აღარ არის, რომელსაც ქალი არ ასრულებდეს, ისეთი თანამდებობა აღარ არის, რომელიც ქალს არ ეჭიროს. ასე გასინჯეთ, ამერიკაში ამ უამად პოლკოვნიკი-ქალი და ღვდელი-ქალიც-კი ბევრია. ისიც მოგეხსენებათ, რომ პარიჟში არსებობს ესრედ წოდებული „უკვდავთა აკადემია“, რომლის წევრებადაც საფრანგეთის გამოჩენილ და შესანიშნავ კაცებს იღებენ. აი, საფრანგეთის ქალებს სწორედ ეს აკადემია შეჰშურებიათ და მოუწადინიათ თავიანთვისაც ე. ი. კერძოდ ქალებისათვის, ასეთისავე აკადემიის დაარსება. დამაარსებელ-ქალებს რამდენჯერმე უკვე ჰქონიათ კრება და ორმოც „უკვდავ ქალთა“ სიაც შეუდგენიათ. სხვათა შორის სიაში დასახელებული ყოფილან: ქ-ნნი ადანი, დოდე, გოტიე, დიურანი, „ჟიპი“ (ფსევდონიმია), მალო, მენდესი, მიშელი, „რაშილდი“, ფელეტონების მწერალი ქალი სევერინი და სხვანი, ამბობენ მხოლოდ, რომ „უკვდავთა“ არჩევანების დროს ქალებს ცოტა უთანხმოება მოსვლიათ. ერთის დასახელებულის კანდიდატს მეორე ჰკიცხავდა და ამბობდა, ეგ არაფრით არის შესანიშნავი, მაგას არაფერი გაუკეთებიაო. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ყველა ახალი საქმე ასე იწყება.

* * *

რამდენად მდიდარია გერმანელთა ლიტერატურა და რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ლიტერატურას მთელის ქვეყნისათვის, სჩანს იმ სტატისტიკური ცნობებიდგან, თუ რამდენი წიგნი გაუტანიათ გერმანიიდგან და რამდენი შემოუტანიათ. 1882 წელს სულ $26^1/_2$ მილიონ მარკის (მარკა—30-35 კაპეიკია) წიგნი გაუზიდნიათ გერმანიიდგან, ხოლო 1896 წელს—62 მილიონ მარკისა. ეს რიცხვი სახელმწიფოთა შორის ასეა განაწილებული: გერმანიიდგან ავსტრი უნგრეთში გაუტანიათ 28,000,000 მარკისა, შვეიცარიაში—7,600,000 მარ., შეერთებულ შტატებში—7,200,000, რუსეთში—5.600,000, ინგლისსა და ირლანდიაში—3,200,000, ჰოლანდიაში—2,800,000, საფრანგეთში—2,000,000, ბელგიაში—1,2000,000, შვეიცარიაში—1,200,000, იტალიაში—800,000, დანიაში—800,000. იმავე წელს გერმანიაში შეუტანიათ 20 მილიან მარკის წიგნი ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე გაუტანიათ. უმთავრესად გერმანიას შემდეგის სახელმწიფოებიდგან გააქვს წიგნი: ავსტრი-უნგრეთიდგან—7,200,000 მარკისა, შვეიცარიიდგან—3,200,000, საფრანგეთიდგან—2,800,000, ჰოლანდიიდგან 1,600,000, ინგლისსა და ირლანდიიდგან—1.600,000, რუსეთიდგან—720,000, შეერთებულის შტატებიდგან—650,000. როგორც ამ სიიდგანა სჩანს, საფრანგეთი ერთად ერთი ქვეყანაა, რომელიც მეტ წიგნსა ჰგზავნის გერმანიაში, ვიდრე იქიდგან იღებს, დანარჩენ სახელმწიფოებს ორჯელ და სამჯელ მეტი გააქვთ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 ივლისი

პეტერბურგი. სადილის დროს ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა: „გმადლობთ თქვენო უდიდებულესობავ აქ მობრძანებისა და ჩვენის ნახვისათვის. ვიღებ ჭიქას და ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს. ვსვამ, სადღეგრძელოს აგრეთვე მისის უდიდებულესობის დედოფლისა და პრინცის ფერდინანდისას. ვისურვებ რუმინიის აღყვავებას“.

რუმინიის მეფემ შემდეგ საპასუხო სადღეგრძელო წარმოსთქვა: „ნება მიბოძეთ თქვენო უდიდებულესობავ გამოგიცხადოთ უღრმესი მადლობა როგორც კეთილ-მოწყალე სიტყვებისა, აგრეთვე ასეთის გულითადის მიღებისთვის. მოგონება რუსეთში ყოფნის შესახებ სამუდამოდ ჩაიბეჭდება ჩემს გულში სწორედ ისე, როგორც ჩაიბეჭდა ის ბედნიერი დრო, როდესაც ჩემი ახლად შემდგარი ჯარი იბრძოდა დუნაისა და ბალკანებს შუა სახელ-განთქმულ საიმპერატორო ჯართან ერთად, რომელსაც დღეს, თქვენის უდიდებულესობის წყალობით, ხელ-ახლა უერთდები. ჩემს ქვეყანასთან ერთად აღვსილი ერთნაირის გრძნობით და იმ გულითადის სურვილით, რომ ჩემმა მოსვლამ დაჰბადოს საუკეთესო დამოკიდებულება და უფრო მჭიდროდ დაუკავშიროს ჩემი სამეფო ძლიერ იმპერიას, მე გულით ვისურვებ თქვენის უდიდებულესობის და საიმპერატორო სახლეულობის ბედნიერებას. ვთხოვ რა განგებას გადმოავლინოს კურთხევა თვისი თქვენის უდიდებულესობის და თქვენ ქვეშევრდომთა ზედა, მე ვიღებ ჭიქას და ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისას, მათის უდიდებულესობის დედოფლისას, აგრეთვე სადღეგრძელოს თქვენის უავგუსტოეს დედისას. გაუმარჯოს თქვენ უდიდებულესობას“.

კრასნოე სელო. 18 ივლისს, ხელმწიფე იმპერატორისა, დედოფალის იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა, საბერძნეთის დედოფლისა, რუმინიის მეფისა და მემკვიდრესი და სრულიად საიმპერატორო გვარეულობის წევრთა თანადასწრებით, სამხედრო ველზედ შესდგა უმაღლესი პარადი. პარადში მონაწილეობა მიიღო $66^1/_4$ ბატალიონმა, 43 ესკადრონმა და 14 ასეულმა. ჯარს თან 204 საომარი იარაღი ჰქონდა. ჯარს უფროსობდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე. ხელმწიფე იმპერატორს მხარზედ გადაკიდებული ჰქონდა ორდენის „რუმინიის ვარკვლავის“ ლენტი. მეფეს ეცვა მუნდირი ვოლოგდის მე 18 ქვეითა რაზმისა, რომლის შეფადაც ჩარიცხულ იქმნა ხელმწიფე იმპერატორის მიერ და მხარზედ გადაკიდებული ჰქონდა ორდენის ანდრია პირველ-წოდებულის ლენტი. პარადი მიიღო რუმინიის მეფემ. ხელმწიფე იმპერატორი დიდ მთავრებთან ერთად ჯარს წინ მიუძღოდა. პარადის შემდეგ გამართულ იქმნა უმაღლესი საუზმე. შემდეგ მათი უდიდებულესობანი მეფესა და მემკვიდრე პრინცთან ერთად პეტერგოფში წაბრძანდნენ.

პარიჟი. როგორც პორტო-რიკოდგან მოსულის დეპეშიდგანა სჩანს, ესპანელნი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. ჯარი ისეა გაჭირვებული და იმდენად ნაკლები იარაღი აქვს, რომ თუ ომი დაიწყო, ესპანელნი ძნელად თუ შესძლებენ ბრძოლას.

ნიუ-იორკი. პორტო-რიკოს ქალაქი პონსო ამერიკელებს დაემორჩილა.

ვაშინგტონი. კაბინეტმა გადასწყვიტა წარუდგინოს ესპანიას შემდეგი ზავის პირობანი: დაეთმოს პორტო-რიკო, კუბას დამოუკიდებლობა მიენიჭოს, დაეთმოს მარიამის ერთ-ერთი კუნძული, დაეთმოს ამერიკას ფილიპეს კუნძულებზე ერთი სადგური მაინც ქვანახშირის დასაწყობად. პასუხში სამხედრო ჯილდოს შესახებ არაფერია ნათქვამი. დროებით ზავი ჯერ არ შეუკრავთ. ფილიპეს კუნძულების საქმეს გადასწყვეტს ამერიკელებისა და ესპანელებისაგან შემდგარი კომისია. კაბინეტმა ერთხმად განაცხადა, რომ არა გვსურს ფილიპეს კუნძულები ამერიკას შემოუერთოთო.

კანეა. სახალხო კრებამ აირჩია ალმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც უცხო სახელმწიფოთა ელჩების მონაწილეობით უნდა შეიმუშავოს საადმინისტრაციო წესდება.

მადრიდი. როგორც ეტყობა, ყველანი თანახმანი არიან მიიღონ ის პირობები, რომელიც ამერიკელებმა დაასახელეს. ერთად ერთი საგანი იქმნება ძნელი გადასაწყვეტი, სახელდობრ, კუბის ვალი, რომელსაც შეერთებული შტატები არ იკისრებენ.

ჰამბურგი. ფრიდრიხსრუედგან იუწყებიან; საღამოს 11 საათზედ თავადი ბისმარკი გარდაიცვალაო.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა საქართველოს ეპარქიის ქვაბთა ხევის მიძინების მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტს კირიონს ალავერდის ეპისკოპოსობა, საქართველოს ეპარქიის მეორე ვიკარობა.

წერილი რედაქციის მიმართ

ცხინვალის ხიდის შესაკეთებლად შემოსწირეს ხე-ტყე თუ ფული შემდეგ სოფლის საზოგადოებათ და კერძო კაცთ, სახელდობრ: გუფთის სოფლის საზოგადოებამ—30 ფიცარი, მუგუტის სოფლის საზოგადოებამ—30 ფიცარი, სოფ. კოშკას მცხოვრებელთა: გაბო გაგლოშვილმა—5 ხე, ანტონ გაგლოშვილმა—2 ხე, ალექსი გაგლოშვილმა—2 ხე, საბა ხარებაშვილმა—2 ხე, დანიელ ხამინაშვილმა—3 ხე და არჯი გოლოვანოშვილმა—ერთი ხე. ცხინვალის მცხოვრებელთ: შაქრო ვოყებიანმა—2 მან., ამირაღოვმა—50 კაპ., ქოჩიშვილმა—2 მან., ტრაიპაშვილმა—3 მან., გოლოვანოვმა—1 მან., მაისურაძემ—50 კაპ. აბაევმა—2 მან., ოლოლოვმა—2 მან., კულევმა—2 მან., ჯაფარიძემ—2 მან., ცხოვრებაშვილმა—1 მან., პოპიევმა—1 მან., მელქო იარალოვმა 2 მან., კულოევმა—1 მან., ქოჩაშვილმა—1 მან., გოგინავამ—50 კაპ., ყვიქინაძემ—1 მან., ქესონაშვილმა—50 კაპ., საჩინო ურადოვმა—2 მან., მიხა დავარაშვილმა—30 კაპ., არონ ციცუაშვილმა—50 კაპ., ისხაკ დავარაშვილმა—2 მან., მიხაკა დავარაშვილმა—1 მან., იაკობ პოლისიმენდოვმა—50 კაპ., ბიბი მოიშელოვმა—50 კაპ., იაკობ მოლინსტველოვმა—50 კაპ., მონაშე დავარაშვილმა—30 კაპ., არონ მოლინსტველოვმა—1 მან., კონსტანტინე ხოხოლოვმა—2 მან., ი. ი. იარალოვმა—1 მან., სერგო პოპიევმა—45 კაპ., ნაკოლოზ ხოხოლოვმა—1 მან., სედრაკ ხოხოლოვმა—50 კაპ., სოლომონ გოლოვალოვმა—50 კაპ., ნიკო თეიმუროვმა—1 მან., პავლე ყულიჯანოვმა—50 კაპ., გაბრიელ ტერ-სტეფანოვმა—1 მან., სარქისა გიოშვილმა—50 კაპ., წყალობა ფარსადანოვმა—50 კაპ., დავით ნალბანდოვმა—50 კაპ., ილიკო თიბილაშვილმა—50 კაპ., ივანე პოშიევმა—40 კაპ., მოსეს ნალბანდოვმა—50 კაპ., გოგინოვმა—50 კაპ., თედეშვილმა—50 კაპ., გიორგელმა—50 კაპ., მღ. ჯინჭველაძემ—50 კაპ., იასონ კობალაძემ—50 კაპ., ზასეშვილმა—40 კაპ., ქოჩიშვილმა—50 კაპ., ბატა ფიდეშვილმა—50 კაპ., მღ. სპირიდონ კასრაძემ—1 მან., გიგო ოვალოვმა—50 კაპ., გასპარა ტერ-სტეფანოვმა—50 კაპ., დავით მელპუევმა—10 კაპ., შიო ნადიმოვმა—20 კაპ., ჯიოშვილმა—50 კაპ., ბატან სომხიევმა—50 კაპ., სვიმონ მელპუევმა—1 მან., იაკობ ხიდაშელმა—1 მან., აბელ შერმაზანოვმა—25 კაპ., პოცა მურადოვმა—1 მან., არჩილ სომხიევმა—1 მან., იოსებ ბასიშვილმა—1 მან. და ნიკო ხმიადაშვილმა—1 მან., ეს ფული მიემატა იმ თანხას, რომელიც უნდა მოჰხმარდეს ხიდის შეკეთებას. შემომწირველთ დიდს მადლობას უძღვნის ცხინვალის სასოფლო საზოგადოება.

ცხინვალის ბოქაული პორუჩიკი დუბანოსი

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

ილი—ხ. არ დაიბეჭდება. თქვენის საჩივრით მწყემსთ. მთავარს მიჰმართეთ და ის შეგისრულებთ კანონიერს სურვილს.

ᲐᲠᲓᲐᲨᲘᲜᲘᲮ. არ დაიბეჭდება.

Დ. ᲫᲘᲐᲗᲣᲠᲐ. Ჯ. ᲜᲐᲡᲘᲫᲔᲮ. შეგვატყობინეთ, რის სასარგებლოდ არის თქვენ მიერ შეკრებილი და გამოგზავნილი 121 მან?

ᲘᲕ. Გ—ᲔᲚᲮ. თქვენი კრიტიკული წერილი „ც—რას“ შესახებ არ დაიბეჭდება.

ᲮᲝᲨ. ᲐᲬᲧᲣᲠᲘ. ᲒᲚᲔᲮᲮ Ბ. Ზ. Გ—ᲠᲮ. თქვენის საჩივრით იმის მთავრობას მიჰმართეთ, ვისაც უჩივით.

განცხადებანი

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

მიმდინარის წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოც-დაშვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში 50 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში—თერთმეტი (11)—(8 და 9 წლის ყმაწვ.) და მეოთხეში—6 (10—11 წლ. ყმაწვ.); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

67 ვაკანსიიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, და დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, დამფუძნებლობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ აღგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს პანსიონში იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სასწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასს.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნაკლებ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი, ათი შემოსვლისათანავე და ათი—იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 25-დამდის, ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лабораторной ул.

აგვისტოს 25, 26, 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $189^8/_9$ სასწავლო წლის ფულის ნახევრს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—უ.—5)

ᲙᲔᲚᲔᲠᲘᲡ ᲫᲛᲠᲘᲡ ᲔᲡᲡᲔᲜᲪᲘᲐ

ისყიდება ᲣᲙᲔᲚᲓᲒᲘᲜ ᲣᲙᲔᲚᲓᲐ დიდ ვაჭართან.

კელერის მიერ დამზადებულ ძმრის ესსენციის კარგის ღირსებისა და ყველა სხვა ძმრის ესსენციებთან შედარებით უპირატესობისა გამო დღითი-დღე ჰმატულობს ამ ესსენციის მყიდველთა რიცხვი, ასე რომ წარსულს წელს გაიყიდა 800,000 შუშა, რამაც შეაძლებინა ამხანაგობას გაეიაფებინა იგი და კიდეც გააიაფა.

იაფ-ფასად სხვებიც ჰყიდიან, მაგრამ მყიდველმა უნდა იცოდეს, რომ ისინი აიაფებენ იმიტომ, რომ მეტოქეობა გაუწიონ ჩვენ მიერ დამზადებულ ძმრის ესსენციას და ამის გამო წყალს ურევენ და ესსენციას აკლებენ ჯეროვან გემოს. (3—მ.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 20 го Іюля. 1898 г. სტამბა შ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.